

თანამედროვე საზოგადოებაში კინოდან შემოსული შეუმჩნეველი ცვლილებები

მარიან ცუცუი

საკვანძო სიტყვები: რბილი ძალა, სერიალი „დიზი“, ისტორიული გაყალბება, ციფრული ტექნოლოგიები

მართალია, დღეს კინოს გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე საყოველთაოდაა აღიარებული, მაინც რჩება ასპექტები, რომელთა ფარგლებში კინო მოქმედებს დამაჯერებლად, მაგრამ შეუმჩნეველად, ისე, რომ ეს ქმედება დაუფასებელი და იგნორირებულია. 1920-იან წლებში ჰოლივუდის ფილმების გლობალურმა გავრცელებამ დაამტკიცა, რომ „რბილი ძალა“ ზოგჯერ უფრო ეფექტიანია, ვიდრე რევოლუციები და სოციალური რეფორმები.

დოკუმენტურმა ფილმმა „ბედისწერა: როგორ შეცვალეს მსოფლიო თურქულმა სერიალებმა“ (2014, ნინა პასკალიდუ, საბერძნეთი, ყატარი, საფრანგეთი, ხორვატია, ბულგარეთი, შვედეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, სერბეთი, კანადა, ფინეთი, სინგაპური, კვიპროსი, უნგრეთი) წარმატებით დაამტკიცა, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში თურქულმა სერიალებმა – დაწყებული პირველი ფილმით, „ვერცხლი“ (2005), რომელიც გადაიყვანა საერთაშორისო აუდიტორიისთვის, და დამთავრებული ფილმით „სულეიმან დიდი“ (2011–2014) – უფრო დიდი გავლენა იქონიეს და, გარკვეულწილად, შეცვალეს ქალთა ცხოვრება შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ვიდრე 2010 წელს, „არაბული გაზაფხულის“ დროს განხორციელებულმა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მსგავსმა გადატრიალებებმა. ახალმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა უკვე შეამცირა განსხვავებები ფილმებსა და ანიმაციას შორის. ახლახან მსახიობმა სკარლეთ იოჰანსონმა დაადანაშაულა ერთ-ერთი კომპანია თავისი ხმის უკანონოდ გამოყენებაში. მალე, ალბათ, აღარც დაგვჭირდება მსახიობები და მათი ხმები – მსახიობების ნაცვლად რეჟისორებმა შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ მათი სახეები, სხვა რეალური პიროვნებისგან „ისესხონ“ სხეული, ხმის ტემბრი და ანიმაციის მეშვეობით შექმნან პერსონაჟი, რომელსაც ვერც კი განასხვავებთ ადამიანისგან. ასეთი რამ წარმოშობს ეთიკურ და სემიოტიკის ტიპის პრობლემებს, რადგან ვეღარ განვასხვავებთ ხელოვნების ნიმუშს თამაშისგან, ხოლო აუდიოვიზუალურ ქმნილებებს აღარ ექნება დასასრული, ავტორობის საკითხი კი ფარდობითი გახდება.

მართალია, დღეს კინოს გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე საყოველთაოდაა აღიარებული, მაინც რჩება ასპექტები, რომელთა ფარგლებში კინო მოქმედებს დამაჯერებლად, მაგრამ შეუმჩნეველად, ისე, რომ ეს ქმედება დაუფასებელი და იგნორირებულია. 1920-იან წლებში ჰოლივუდის ფილმების გლობალურმა გავრცელებამ დაამტკიცა, რომ „რბილი ძალა“ ზოგჯერ უფრო ეფექტიანია, ვიდრე რევოლუციები და ღია პროპაგანდა. ჯერ კიდევ 1941 წელს ბრიტანელი მწერალი ერიკ ნაიტი თავის რომანში, „ყველაზე მეტად“ აღნიშნავს უზარმაზარ ცვლილებებს, რომლებიც ადამიანის აღქმაში მოახდინეს

კინომ და ჰოლივუდმა: „კინოსთან დაკავშირებით ერთი რამ არის მნიშვნელოვანი. მასში ყოველთვის არის გოგონა აბაზანაში, რაც გამიზნულია მამრობითი სქესის ბაზარზე გასაყიდად, ან გმირი მამაკაცი აბაზანაში, რომლის დანახვაზე მდედრობითი სქესის ფანატებს სიამოვნებისგან ბურძღავთ. ამან ზიანი მიაყენა მასების სტანდარტებს. უწინ ადამიანს უწევდა უფრო პირად გამოცდილებაზე მუშაობა, დღეს კი ყველამ იცის, როგორ გამოიყურება მთელი ჰოლივუდი ღამის პერანგში ან თუნდაც შიშველი. წარსულში მას შეეძლო, მტვერსასრუტის მსგავსად შეეწოვა ახალგაზრდა გოგონა და აფროდიტეს რანგში აეყვანა. დღეს

კი პოლიგული დაბრძენდა - დღეს იგი გოგონას ზომავს სექსუალური ჟინის გამომწვევი სტანდარტებით. შედეგად, იზრდება ქალის სხეულებრივი ფორმების სტანდარტი¹.

1967 წელს მიშელ ტურნიე თავის რომანში „პარასკევი, ანუ სხვა კუნძული“² აღნიშნავს: ის ფაქტი, რომ პროდუქტები თუ სერვისები ფულით იზომება და შესაძლებელია მათი შეძენა - უზრუნველყოფს მათზე წვდომას, ხოლო საზოგადოება მოქმედებაში უფრო შეუზღუდავია, შესაბამისად, დემოკრატიულიც. გავიხსენოთ ევოლუცია შუა საუკუნეებიდან კაპიტალიზმისკენ, პრივილეგიებისა და აკრძალვების გაუქმება, რასაც მოაქვს ახალი თავისუფლებები და გარკვეული დემოკრატიზაცია.

იგივე შეიძლება ითქვას პოლიგუდური ფილმების განვითარებაზეც: იაფფასიანი, ყველასთვის ხელმისაწვდომი ბილეთებიდან - გლობალურ კონკურენციამდე, სადაც შესაძლებელია, როგორც უღამაზესი მსახიობებისა და გამორჩეული მოცეკვავეების ხილვა, ისე ნატიფი ხმების ან სახელგანთქმული ინსტრუმენტალისტების მოსმენა.

საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ბევრ პოლიტიკოსს ესმოდა კინოს როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ყველაზე უკეთ ეს, დიდი ალბათობით, ქეძალ მუსტაფა ათათურქმა გამოხატა - ყოველ შემთხვევაში, სწორედ მას მიაწერენ ამ სიტყვებს თურქი ისტორიკოსები, თუმცა, დაზუსტებით არავინ იცის, სად და როდის წარმოთქვა მან ეს წინასწარმეტყველება: „დადგება დღე, როცა ცხადი გახდება, რომ კინომ შეცვალა მსოფლიო ცივილიზაციის იერი, რომ მან ბევრად უფრო დიდი გავლენა იქონია, ვიდრე დენტის, ელექტროობისა თუ ახალი კონტინენტების აღმოჩენამ. კინოს წყალობით ადამიანები მსოფლიოს შორეულ კუთხეებშიც კი გაიცნობენ და შეუყვარდებიან ერთმანეთს. კინო წაშლის განსხვავებებს მოსაზრებებსა თუ იერსახეში. კინო უდიდეს წვლილს შეიტანს კაცობრიობის იდეალების ხორცშესხმაში. ჩვენ უნდა მივანიჭოთ კინოს ის ღირებულება, რომელსაც იმსახურებს“³.

რამდენიმე თურქი მკვლევარი, მათ შორის არზუ ოზთურქმენი, განმარტავს, რომ თურქული ტელესე-

რიალების წარმატება და გავრცელება, ძირითადად, ორ ფაქტორს ეყრდნობა. ერთი მხრივ, ბოლო დრომდე სოფლად არსებობდა ზეპირი კულტურისა და თავისუფალი დროის ერთად გატარების ტრადიცია: მაგალითად, ყარაგეზის ჩრდილების თეატრის წარმოდგენებზე დასწრება. მეორე მხრივ, 1970-იანი წლებში, დაარსებიდან მოყოლებული, თურქეთის ეროვნული ტელევიზია უცხოური სატელევიზიო და ადგილობრივი, რადიომოდელების საფუძველზე ამზადებს სერიალებს, რომლებიც ჯერ სამშობლოში გახდა პოპულარული, ხოლო 1989 წლის შემდეგ, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, რამდენიმე მუსულმანური სახელმწიფოს გაჩენის კვალდაკვალ, თურქმანულ ან თავად თურქულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში (მაგალითად: თურქმენეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ჩრდილოეთ ჩინეთიც კი). მასალისა და ტექნიკური საშუალებების დეფიციტის პრობლემა აღმოიფხვრა სახელმწიფო სუბსიდიების დახმარებით. ასე დაიწყო საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის წარმოება, განსაკუთრებით ტელესერიალების ფორმულა „დიზის“ ფარგლებში, ეთნოგრაფიული შინაარსის თანხლებით.

თურქული კომედია „ვიზონტელე“ (2001, ილმაზ ერდოღანი, ომერ ფარუხ სორაკი) იუმორითა და ნოსტალგიით ასახავს თურქული ტელევიზიის შეღწევას რეგიონებში. მთავრობამ ჩაატარა შემოწირულობის კამპანია თითო გაჭირვებული სოფლისთვის ერთი ტელევიზორის ყიდვის მიზნით. ჩვენ ზუსტად ვიცით, ეს როდის მოხდა, რადგან აღნიშნული მოვლენა დაემთხვა 1974 წელს, კვიპროსში ომის დაწყებას. ამ იდეას წინ აღუდგნენ მოლა და ადგილობრივი კინოთეატრის მფლობელი, რადგან თვლიდნენ, რომ ტელევიზია სერიოზული კონკურენტი. ანატოლიის სოფლის მიამიტი მცხოვრებლები კი იკრიბებიან ტელევიზორის წინ. მათი აზრით, მსახიობები ეკრანზე, რომელთაც ისინი ხედავენ, ასევე უყურებენ მათ. კვიპროსის ერთ-ერთ სოფელში მოკლული ახალგაზრდა კაცის ამბავი ძალიან მძიმედ მოქმედებს მათზე, რადგან მათ წარმოდგენაში ტელევიზია მხოლოდ გართობისთვის არსებობს.

ფილმში „ურანია“ (2006, საბერძნეთი-იტალია)

1 Knight, This Above, 2021.

2 Tournier, Friday, 1974, p. 64.

3 Dinç, Performing, 2016.

ბერძენი რეჟისორი, კოსტას კაპაკასი, ემირ კუსტური-ცას გავლენით, ცდილობს მოზარდის თვალთ დანახული კონკრეტული ეპოქის სურათის მხატვრულად აღდგენას. აქილესი და მისი მეგობრები აგროვებენ ფულს პირველი ტელევიზორისთვის, რათა იხილონ პირველი ადამიანი მთვარეზე. ამ მიზნით ისინი ყარაგემის შოუსაც აწყობენ. ერთ-ერთი მათგანი იპარავს ფულს, რათა შეხვდეს ადგილობრივ მეძავს - ურანიას. ბოლოს ჩამოაქვთ ყმაწვილების პირველი ტელევიზორი, სახელად ასევე „ურანია“. აქილესს იმდენად უნდა მისი ყურება, რომ იგი ცაში დაფრინავს. ამ სოფელში დიქტატურაც კი სასაცილოა. ადგილობრივთა პოლიტიკური შეხედულებები იოლად ამოსაცნობია - დამოკიდებული სიტყვაზე, რომელსაც ისინი იყენებენ კოსმოსში ადამიანის აღსანიშნავად: „ასტრონავტი“ (ამერიკული ვარიანტი) ან „კოსმონავტი“ (საბჭოთა ტერმინი).

დოკუმენტური ფილმებიც კი (მაგალითად, რობერტ ფლაერტის „ნანუკი ჩრდილოეთიდან“, 1922) აცნობენ მსოფლიოს და ამკვიდრებენ სხვა ენებში ესკიმოსებისა და მკვიდრი ამერიკელების აგლუტინაციურ ენებზე წარმოთქმულ სიტყვებს: მაგალითად, „იგლუ“ და „კაიაკი“. მართალია, ვესტერნის ჟანრის ფილმებში ასახულია ამერიკის მხოლოდ ერთი ნაწილი: სასაზღვრო ზონა და ჩრდილოეთ ამერიკელების ათვისებული დასავლეთის ტერიტორიები, სადაც სახლობენ ხაფანგებით მონადირეები, კოვბოები, შერიფები და კრიმინალები. მან მსოფლიოს მასშტაბით ადგილი დაიმკვიდრა, როგორც სათავგადასავლო ფილმების უპოპულარულესმა ქვეჟანრმა. ვესტერნებმა გაამდიდრა ბევრი ენა და პოპულარიზაცია გაუწია მუსიკალურ ჟანრს, „ქანთრი“, ასევე მენახირეთა ტიპურ ტანისამოსს (მაგალითად, „ლურჯი ჯინსი“), სიტყვებს: „კოვბოი“, „მუსტანგი“, „სალონი“, „ლინჩი“, ესპანურ სიტყვებსა და მექსიკიდან შემოსულ ტერმინებს: „ლასო“, „როდეო“, „სინიორიტა“, „ფიესტა“, „რანჩო“, „პატიო“ და დაამკვიდრა სიტყვები მკვიდრ ამერიკელთა ლექსიკონიდან: „მოკასინი“, „სქვო“, „კალუმეტი“ და სხვა.

თუკი ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში დასავლურ საზოგადოებაში შეაღწია და ადგილი დაიმკვიდრა სიტყვამ, „კიმონო“, უკვე მეორე მსოფლიო ომის

დროს ამერიკულმა კინოქრონიკამ გაავრცელა ტერმინი, „კამიკაძე“, ხოლო 1950-იან წლებში აკირა კუროსავას ფილმებმა, ტოშირო მიფუნეს მონაწილეობით, დაამკვიდრა სპეციფიკური და თითქმის უთარგმნელი იაპონური ტერმინები, როგორებიცაა: „რიქშა“, „გეიშა“, „სამურაი“, „ჰარაკირი“, „სეპუკუ“, „საკე“ და სხვა.

დოკუმენტურმა ფილმმა „ბედისწერა: როგორ შეცვალეს მსოფლიო თურქულმა სერიალებმა“ (2014, ნინა პასკალიდუ, საბერძნეთი, ყატარი, საფრანგეთი, ხორვატია, ბულგარეთი, შვედეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, სერბეთი, კანადა, ფინეთი, სინგაპური, კვიპროსი, უნგრეთი) წარმატებით დაამტკიცა, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში თურქულმა სერიალებმა, - დაწყებული პირველი ფილმით „ვერცხლი“ (2005), რომელიც გადაიღა საერთაშორისო აუდიტორიისთვის, და დამთავრებული ფილმით „სულეიმან დიდი“ (2011-2014), - უფრო დიდი გავლენა იქონიეს და, გარკვეულწილად, შეცვალეს ქალთა ცხოვრება შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ვიდრე 2010 წელს, „არაბული გაზაფხულის“ დროს განხორციელებულმა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მსგავსმა გადატრიალებებმა. პირადად მახსოვს ამ სერიალის უდიდესი ეფექტი საბერძნეთში. მართალია, ბერძნებს არ უყვართ ამ მეზობლებთან დაკავშირებით რაიმე პოზიტიურის მიღება, მაგრამ მახსოვს ათენის მიდამოებში ცარიელი გზები და ქუჩები იმ დღეს, როცა ტელევიზიით გადასცემდნენ „სულეიმან დიდის“ მორიგ სერიას. ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლები და გამყიდველები მაღაზიებში „მიწებებული“ იყვნენ ეკრანს და მომხმარებელს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ამ ჰიპნოზურ ეფექტზე უფრო მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური გავლენა ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში (მაგალითად, საუდის არაბეთი). მიუხედავად იმისა, რომ განათლებული საზოგადოება და ისტორიკოსები თურქეთსა და სხვა ქვეყნებში აშარუბდნენ ისტორიულ ფიგურებს (მაგალითად, ოღალისკები შელებილი თმებითა და ფრჩხილებით, რომლებიც მე-16 საუკუნეში დომინირებდნენ სულეიმანის კარზე), ამ სერიალმა უდიდესი წარმატება მოიპოვა 40 ქვეყანაში,⁴ ხოლო მისი ნახვების რაოდენობამ 500 მილიონს

4 Sultan, 2012.

გადააჭარბა.⁵ სერიალის ეთერში გასვლის შემდეგ კონსერვატორულ საუდის არაბეთში ქალებმა მოიპოვეს თანამგზავრის გარეშე კინოს საყურებლად კინოთეატრში წასვლისა და მანქანის მართვის უფლება. მეორე მხრივ, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მსგავს მოვლენებს არ ჰქონიათ რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტი. 2018 წელს საუდის არაბეთის პრემიერ-მინისტრმა, უფლისწულმა მოჰამედ ბინ სალმანმა აკრძალა თურქული სერიალები. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ადგილობრივი სასულიერო პირების მოთხოვნა, რომლებიც შოკირებული იყვნენ სერიალებისგან გამოწვეული ადგილობრივი ტრადიციებისთვის სახიფათო დისკუსიებით.⁶

ახალმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა უკვე შეამ-

ცირა განსხვავებები ფილმებსა და ანიმაციას შორის. ახლახან მსახიობმა სკარლეტ იოჰანსონმა დაადასტურა ერთ-ერთი კომპანია მისი ხმის უკანონოდ გამოყენებაში.⁷ მალე, ალბათ, აღარც დაგვჭირდება მსახიობები და მათი ხმები - მსახიობების ნაცვლად რეჟისორებმა შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ მათი სახეები, სხვა რეალური პიროვნებისგან „ისესხონ“ სხეული, ხმის ტემბრი და ანიმაციის მეშვეობით შექმნან პერსონაჟი, რომელსაც ვერც კი განასხვავებთ ადამიანისგან. ასეთი რამ წარმოშობს ეთიკურ და სემიოტიკის ტიპის პრობლემებს, რადგან ვეღარ განვასხვავებთ ხელოვნების ნიმუშს თამაშისგან, აუდიო-ვიზუალურ ქმნილებებს აღარ ექნება დასასრული, ხოლო ავტორობის საკითხი ფარდობითი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bhutto, Fatima. How Turkish TV is taking over the world”. <https://exde601e.blogspot.com/2020/07/turkish-tv-taking-over-world.html?m=1>.
- Dinc, Enis. Performing modernity: Atatürk on film (1919-1938). https://pure.uva.nl/ws/files/2750928/178963_Dinc_Thesis_complete_.pdf.
- Knight, Eric. This above All. https://www.google.ro/books/edition/This_Above_All/J?hl=ro&gbpv=1&dq=Eric+Knight+That%E2%80%99s+one+thing+about+cinema&pg=PT258&printsec=frontcover.1MEAAQBAJ?hl=ro&gbpv=1&dq=Eric+Knight+That%E2%80%99s+one+thing+about+cinema&pg=PT258&printsec=frontcover.
- Sharma, Suraj. Spoiler alert: Saudi television network bans Turkish soap operas. <https://www.middleeasteye.net/news/spoiler-alert-saudi-television-network-bans-turkish-soap-operas>.
- Chmielewski, Dawn and Anna Tong, Scarlett Johansson says OpenAI chatbot voice 'eerily similar' to hers. <https://www.reuters.com/technology/scarlett-johansson-says-openai-chatbot-voice-eerily-similar-hers-2024-05-21/>.
- Sultan conquers 40 countries’ television. <https://www.hurriyetdailynews.com/sultan-conquers-40-countries-television-11168>.
- Tournier, Michel. Friday, or the Other Island. London. 1974.

⁵ Bhutto, How Turkish, 2019.

⁶ Sharma, Spoiler, 2018.

⁷ Chmielewski, Tong, Scarlett, 2024.

IMPERCEPTIBLE CHANGES BROUGHT BY FILMS TO MODERN SOCIETY

Marian Tutui

Keywords: *soft power, dizi, historical forgery, digital technologies*

Although today the enormous influence of the film on contemporary society is unanimously accepted, there are still enough aspects on which cinema acted decisively but subtly so that its action is underestimated or even ignored. In the 1920s, the global spread of Hollywood films proved for the first time that soft power is sometimes more effective than revolutions and social reforms.

The documentary *Kismet: How Turkish Soap Operas Changed the World* (2014, Nina Paschalidou, Greece-Qatar-France-Croatia-Bulgaria-Sweden-United Arab Emirates-Serbia-Canada-Finland-Singapore-Cyprus-Hungary) succeeded in proving that Turkish soaps during a rather short period of time (since *Gumus* (2005), the first TV series to air internationally, up to *Magnificent Century/Muhteşem Yüzyıl/Suleyman the Magnificent* (2011–2014) have influenced and even changed the life of women in Middle East and Northern Africa more than the “orange revolutions” during the “Arab Spring” in 2010. The new digital technologies have already reduced the difference between the films with actors and animation. Recently, actress Scarlett Johansson accused a company of synthesizing her voice without permission. Soon probably we shall not need actors and their voices, some filmmaker might use not actors but only the face, the body shapes and the vocal timbre of some real person and the character will be animated but hard to distinguish from a human. Such a thing will give rise to ethical and even semiotic problems because we will hardly be able to distinguish an artistic work from a game, audio-visual works will no longer have an ending and the notion of authorship will also be relativized.

Although today the enormous influence of cinema on contemporary society is unanimously accepted, there are still enough aspects on which cinema has been acting decisively but subtly so that its action is underestimated or even ignored. In the 1920s, the global spread of Hollywood films proved for the first time that soft power is sometimes more effective than revolutions, social reforms and open propaganda. As early as 1941 in his novel *This above All British* writer Eric Knight noticed the huge change in human perception brought by nickelodeon and Hollywood: “That’s one thing about cinema. You can always count on either the girl taking a bath during the story for the masculine trade—or the hero taking a shower to give the girl fans a thrill. But just see what that’s done to mass standards. Set new levels to aim at. In the old days a man had to work on rather small

personal experience. Now everyone knows what all Hollywood looks like in a nightie or less. And see what that does! In old days, a man was content with what he had. He might get a girl with a shape like a sack of sawdust tied in the middle, and accept her as Aphrodite. Now he knows different. He measures her up to the standards of the screen sirens. Thus the whole standard of feminine form is raised”.¹

In 1967, Michel Tournier in his novel *Friday, or the Other Island*² made the observation that the valuation in money and the possibility to purchase various goods and services makes them available and the society becomes more permissive and therefore more democratic. It is about the evolution from the Middle Ages to capitalism and the cancellation of privileges and prohibitions denotes obtaining new freedoms and a certain democ-

¹ Knight, *This above*. 2021.

² Tournier, *Friday*, 1974, p. 64.

ratization. In a similar way we can say that Hollywood movies and the purchase of a cheap nickelodeon ticket ensures anybody easy access like never before to a global competition where one can see the most beautiful actresses and the best dancers or listen to the best voices and the greatest instrumentalists.

Several politicians understood quite early the role of cinema into shaping a new society but probably Kemal Mustafa Atatürk said it best or at least Turkish historians claim it although nobody could specify when and where exactly he said such prophetic words: "Cinema is such an invention that a day will come in which it will become clear that it has changed the face of world civilization, more than the invention of gun powder, electricity, and the discovery of new continents has done. Cinema will ensure that people living in the most distant corners of the world know and love each other. Cinema will erase differences of opinion and appearance. It will make the greatest contribution to the realization of the ideals of humanity. We need to give cinema the value it deserves".³

Several Turkish researchers, including Arzu Ozturkmen, explain the success and expansion of Turkish TV series mainly through two factors. On the one hand, there was until recently a rural tradition of oral culture and spending free time together, for example through the Karagöz shadow theatre. On the other hand, since 1970 since its foundation, TRT (Turkish National Television) began to produce series based on foreign TV or domestic radio models, which were initially successful in the country, and after 1989, especially after the collapse of the USSR and the emergence of several Muslim countries, countries where were spoken Turkic languages or even Turkish (Turkmenistan, Azerbaijan, Uzbekistan, Kyrgyzstan, even Western China) lacking material and technical means, Turkish film production and televisions were stimulated and supported through state subsidies and thus began to produce also for export, especially in the "dizi" formula (TV series), especially with ethnographic content.

The Turkish comedy *Vizontele* (2001, Yilmaz Erdogan, Ömer Faruk Sorak) evokes the penetration of Turkish television in the rural areas with a sense of humor and nos-

talgia. The government carried out a donation campaign of one television set in disadvantaged villages. We know exactly when this happened because it coincided with the beginning of the war in Cyprus, in 1974. The moolah and the owner of the local cinema are trying to oppose because they predict that television will be a formidable competitor. The naive inhabitants of a village in Anatolia huddle in front of the television and imagine that the actors in the movies are watching them too. Receiving sad news such as the death of a young man from a village in Cyprus shocks them because they thought the television was just a tool for entertainment. In a similar way Greek director Costas Kapakas in *Uranya* (2006, Greece-Italy) follows Emir Kusturica by making a colorful reconstruction of the epoch when television was spreading through the eyes of a teenager. Achilleas and his friends have been raising money to buy the first TV in order to watch the first man on the moon. For their goal they even organize a Karagoz show. One of them steals the money to go to the local prostitute Uranya. Finally, the first TV set (called also *Uranya*) arrives and Achilleas' desire to watch is so bad that he rises in the air. Even the dictatorship seems ridiculous in the village. One can understand the political views of the locals from the word they use for the man in space: "astronaut" (the American term) or "cosmonaut" (the Russians one).

Even a documentary film such as Robert J. Flaherty's *Nanook of the North* (1922) made known to the world the first words from the agglutinative languages of the Eskimos and Native Americans, such as "igloo" and "kayak". Western films, although were mirroring only a part of America, the border area and the North American expansion to the West, populated by trappers, cowboys, sheriffs and outlaws, quickly became the most popular vehicle for spreading such terms everywhere in the world and they became a famous subgenre of the adventure film worldwide. The Western movies enriched the lexicon of many languages and made known notions and articles of clothing such as "country music" and terms referring to raising cattle like "blue jeans", "cowboy", "mustang", or others like "saloon", "lynch" or "high noon", Spanish words and objects from Mexico like "lasso", "corral", "rodeo", "desperado", "señorita", "fiesta", "ranch", "stam-

3 Dinç, Performing.

pede”, “patio”, as well as native American words like “moccasin”, “squaw”, “calumet”, etc.

If in the interwar period the Japanese notion and article of clothing “kimono” entered Western society at the same time with the women who wore it and its Japanese name, the WW2 American war newsreels spread a notion such as “kamikadze” while in the 50s the moving pictures starring Toshiro Mifune and those directed by Akira Kurosawa made known specific and almost untranslatable Japanese notions such as “rickshaw”, “geisha”, “samurai”, “hara-kiri”, “seppuku”, “sake”, a.s.o.

The documentary *Kismet: How Turkish Soap Operas Changed the World* (2014, Nina Paschalidou, Greece-Qatar-France-Croatia-Bulgaria-Sweden-United Arab Emirates-Serbia-Canada-Finland-Singapore-Cyprus-Hungary) succeeded in proving that Turkish soaps during a rather short period of time, since *Gumus* (2005), the first TV series to air internationally, up to *Magnificent Century/ Muhteşem Yüzyıl/Suleyman the Magnificent* (2011–2014) have influenced and even changed the life of women in Middle East and Northern Africa more than the “orange revolutions” during the “Arab Spring” in 2010. I have a personal memory of the incredible effect of this series in Greece. Although the Greeks hardly accept anything positive about their neighbours, I remember the empty roads and streets one afternoon around Athens when an episode of *Suleyman the Magnificent* was broadcast on television. In addition, the staff of the gas stations and the salesmen in the stores had their eyes glued to the televisions and they all ignored their

customers. But much more important than this hypnotic effect was the political effect in some Muslim countries such as Saudi Arabia. Although the educated public and historians in Turkey and other countries mocked the historical forgeries such as the odalisques with painted hair and nails that dominated Suleyman and his courtiers in the 16th century, the TV series had an extraordinary audience success in no less than 40 countries⁴ and had over 500 million viewers.⁵ After its broadcast, in conservative Saudi Arabia women obtained the right to go unaccompanied to watch movies at the mall and to drive cars. On the other hand, the “orange revolutions” did not really have noticeable effects! In 2018 Prince Mohammed bin Salman, prime minister of Saudi Arabia, banned the Turkish soaps at the request of local clerics shocked by the discussions about new reforms that would endanger local traditions.⁶

The new digital technologies have already reduced the difference between the films with actors and animation. Recently, actress Scarlett Johansson accused a company of synthesizing her voice without permission.⁷ Soon probably we shall not need actors and their voices, some filmmaker might use not actors but only the face, the body shapes and the vocal timbre of some real person and the character will be animated but hard to distinguish from a human. Such a thing will give rise to ethical and even semiotic problems because we will hardly be able to distinguish an artistic work from a game, audio-visual works will no longer have an ending and the notion of authorship will also be relativized.

REFERENCES:

- Bhutto, Fatima. How Turkish TV is taking over the world”. <https://exde601e.blogspot.com/2020/07/turkish-tv-taking-over-world.html?m=1>.
- Dinç, Enis. Performing modernity: Atatürk on film (1919-1938). https://pure.uva.nl/ws/files/2750928/178963_Dinc_Thesis_complete_.pdf.
- Knight, Eric. This above All. https://www.google.ro/books/edition/This_Above_All/J?hl=ro&gbpv=1&dq=Eric+Knight+That%E2%80%99s+one+thing+about+cinema&pg=PT258&printsec=frontcover.1MEAAQBAJ?hl=ro&gbpv

⁴ Sultan. 2012

⁵ Bhutto, How Turkish. 2019.

⁶ Sharma, Spoiler. 2018.

⁷ Chmielewski, Tong, Scarlett. 2024.

- =1&dq=Eric+Knight+That%E2%80%99s+one+thing+about+cinema&pg=PT258&printsec=frontcover.
- Sharma, Suraj. Spoiler alert: Saudi television network bans Turkish soap operas. <https://www.middleeasteye.net/news/spoiler-alert-saudi-television-network-bans-turkish-soap-operas>.
 - Chmielewski, Dawn and Anna Tong, Scarlett Johansson says OpenAI chatbot voice 'eerily similar' to hers. <https://www.reuters.com/technology/scarlett-johansson-says-openai-chatbot-voice-eerily-similar-hers-2024-05-21/>.
 - Sultan conquers 40 countries' television. <https://www.hurriyetdailynews.com/sultan-conquers-40-countries-television-11168>.
 - Tournier, Michel. *Friday, or the Other Island*. London: Penguin Books, 1974.